დ ა ს კ ვ ნ ა

ქ. თბილისში, ერისთავ-ხოშტარიას ქ. №32-ში მდებარე 6-სართულიანი საცხოვრებელი სახლის ტექნიკურ მდგომარეობაზე

ქ. თბილისი 26.01.2015 წ

ჩვენს მიერ 2015 წლის 25 იანვარს ვიზუალურად იქნა დათვალიერებული ქ. თბილისში, ერისთავ-ხოშტარიას ქუჩა №32-ში მდებარე საცხოვრებელი სახლის შენობა, მის მე-6 სართულზე არსებულ ტერასაზე, ქუჩის ფასადის მხარეს კედლების ამოშენებისა და არსებული კიბის უჯრედის გაფართოების (კიბის ახალი კონსტრუქციის მოსაწყობად) მიზანშეწონილობის დასადგენად, წარმოდგენილი არქიტექტურულ-გეგმარებითი გადაწყვეტებით.

არსებული შენობა აგებულია 2012-2014 წლებში. იგი წარმოადგენს კარკასული ტიპის ნაგებობას.

ჩვენს მიერ მოძიებული იქნა პროექტის კონსტრუქციული ნაწილი, რითაც განხორციელდა აღნიშნული საცხოვრებელი სახლის მშენებლობა.

შენობის მზიდი კონსტრუქციები ასე გამოიყურება:

საძირკვლები	მონოლითური რკ/ბეტონის ნაბურღ-ნატენი ხიმინჯების ბუჩქი სვეტების ქვეშ, დიამეტრით 40 სმ. აღნიშნული ხიმინჯები ზეძირკვლის დონეზე დაკავშირებულია ერთმანეთთან მონოლითური რკ/ბეტონის როსტვერკებით;
სვეტები	მონოლითური რკ/ბეტონის ქვედა სართულებზე კვეთით (40X60) სმ, ხოლო ზედა სართულებზე კვეთით (40X40) სმ.
რიგელები	მონოლითური რკ/ბეტონის კვეთით (40X50 h)
გადახურვები	მონოლითური რკ/ბეტონის ორმაგი უწყვეტი არმირებით, სისქით 18 სმ

როგორც ადგილზე ვიზუალური დათვალიერებით აღმოჩნდა, საცხოვრებელი სახლის შენობა ტექნიკური თვალსაზრისით იმყოფება

საკმაოდ კარგ მდგომარეობაში, არ შეინიშნება რაიმე სახის დეფორმაციები მის მზიდ თუ თვითმზიდ კონსტრუქციულ ელემენტებში.

ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, შეიძლება დავასკვნათ, რომ ქ. თბილისში, ერისთავ-ხოშტარიას ქ. №32-ში მდებარე საცხოვრებელი სახლის მე-6 სართულის არსებულ ტერასაზე შესაძლებელია მოხდეს კედლების ამოშენება და ასევე შესაძლებელია მოხდეს არსებული კიბის უჯრედის ღიობის გაფართოება ახალი კიბის მოსაწყობად.

აღნიშნულის განხორციელება შესაძლებელია შემდეგი რეკომენდაციების გათვალისწინებით:

1. არსებულ ტერასაზე კედლები მოეწყოს მსუბუქი მასალისაგან დამზადებული საკედლე ბლიოკის წყობით ქვიშა-ცემენტის ხსნარზე;
2. არსებული კიბის ღიობის გაფართოებამდე მოეწყოს დამატებითი საყრდენი კედლებით მონოლითური რკ/ბეტონისაგან არქიტექტურული გეგმების მიხედვით;
3. ახალი კიბე მოეწყოს მონოლითური რკ/ბეტონის კიბის მარშებით.

საქართველოს მშენებელ-ექსპერტთა
ასოციაციის წევრი,
ინჟინერ-მშენებელი

(ა. კორკოტაშვილი)

პირადი №01030030182
mail: Korkotashvili.Sandro@yhoo.com
მობ. ტელ: 599 188 652